

შეფასების რუბრიკები

დისკუსიის შეფასების კრიტერიუმები		
#	საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთება	ქულა
1	მონაწილე საკუთარ აზრს ყოველთვის არგუმენტირებულად აყალიბებს და ასაბუთებს.	2
	მონაწილე საკუთარ აზრს, ძირითადად, არგუმენტირებულად აყალიბებს.	1
	არგუმენტაცია ზოგჯერ ბუნდოვანია/სუსტია ან არადაამაჯერებელია.	0
სხვისი აზრის მოსმენა, გათვალისწინება		
2	მონაწილე ყოველთვის უსმენს სხვის მოსაზრებას, ითვალისწინებს, ავითარებს ან აბათილებს სხვის აზრს.	2
	სხვისი აზრი მონაწილისთვის უმნიშვნელოა, ხშირ შემთხვევაში არ ახდენს რეაგირებას, ან მხოლოდ ფორმალურად/ან აკრიტიკებს პიროვნებას და არა აზრს.	1
	მონაწილე თითქმის არ უსმენს სხვის აზრს და მხოლოდ თავის მოსაზრებაზე აკეთებს აპელირებას.	0
არავერბალური კომუნიკაცია		
3	მონაწილეს შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით), ხშირად ამყარებს არავერბალურ კონტაქტს.	2
	მონაწილე იშვიათად, თუმცა, ადეკვატურად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს.	1
	მონაწილის მიერ გამოყენებული არავერბალური კომუნიკაციის ფორმები ძირითადად არაადეკვატურია.	0
წესებისა და პროცედურების დაცვა		
4	მონაწილე მაქსიმალური სიზუსტით იცავს დისკუსიისთვის წინასაწარ მომზადებულ წესებს.	2
	მონაწილე ხშირ შემთხვევაში არ იცავს დისკუსიისთვის წინასაწარ მომზადებულ წესებს.	1
	მონაწილე თითქმის საერთოდ არ იცავს დისკუსიისთვის წინასაწარ მომზადებულ წესებს.	0
საკუთარ და სხვათა მოსაზრებების და შეხედულებების ანალიზის საფუძველზე დასკვნის გამოტანა		
5	მონაწილეს დისკუსიის პროცესში ყოველთვის გამოაქვს დასკვნა/დასკვნები, აჯამებს, აანალიზებს და ამის საფუძველზე იღრმავებს ცოდნას.	2
	მონაწილე ცდილობს დასკვნების გამოტანას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს მხოლოდ და მხოლოდ აზრების ჩამოყალიბებაა.	1
	მონაწილე არ ცდილობს დასკვნების გამოტანას და მხოლოდ აზრების გამოთქმით კმაყოფილდება.	0

პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები		
სათაურთან, თემატიკასთან შესაბამისობა		
1	შეესაბამება სათაურს, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას; კარგად აქვს ორგანიზებული (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა).	3
	მსჯელობს, მაგრამ თხრობისას დარღვეულია ლოგიკური ზმა. აკლია თხრობის რომელიმე ელემენტი (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა).	2
	საკითხი არასრულად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია ან აკლია ორგანიზებულობა.	1
	პრეზენტაცია არ შეესაბამება სათაურს. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, არ არის ორგანიზებული.	0
არგუმენტირება, პარალელები		
2	მსჯელობს არგუმენტირებულად, დამაჯერებლად, მოჰყავს ციტატები, ავლებს პარალელებს.	3
	მსჯელობა ჩანს, მაგრამ არის რამდენიმე არსებითი შეცდომა, არ ავლებს პარალელებს.	2
	პასუხი მოიცავს წაკითხული ინფორმაციის გაუაზრებელ გამეორებას; იშვიათად ამჟღავნებს კრიტიკული აზროვნების უნარს.	1
	პრეზენტაცია არ შეესაბამება საკითხს, გადმოცემული საკითხები არსებითად მცდარია; პრეზენტაცია ძალზე ბუნდოვანი და არაინფორმაციულია.	0
ვიზუალური მასალის გამოყენება		
3	ეფექტურად იყენებს სლაიდშოუს, პლაკატს, დაფას და ა.შ. ვიზუალიზაციის სხვა ხერხებს.	2
	ვიზუალიზაციის ხერხები გამოყენებული აქვს, თუმცა არაეფექტურად, უმართებულოდ.	1
	ძალზე იშვიათად ან არაადეკვატურად იყენებს ვიზუალიზაციის ხერხებს.	0
რეგლამენტი, საკომუნიკაციო უნარები		
4	იცავს რეგლამენტს, ფლობს საკომუნიკაციო უნარებს (ქესტიკულაცია, ხმის ტემბრი, აუდიტორიის ფლობა).	2
	უჭირს აუდიტორიის ყურადღების მიპყრობა, ან ვერ იცავს რეგლამენტს.	1
	ვერ ამყარებს კონტაქტს აუდიტორიასთან, ლაპარაკობს გაურკვევლად; არ იცავს რეგლამენტს.	0